ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4846294

ნომერი: AR1731815

თარიღი : 30.01.2020

გაცემის თარიღი : 04.02.2020

გაცნობის თარიღი : 05.02.2020

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი მოსკოვი , N 24ა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი გუჯაბიძე პ/ნ 01017016591
- მეტეხის 22

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 23 მაისის №4513280 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2020 წლის 30 იანვარს NAR1731815 განცხადებით მომართა გიორგი გუჯაბიძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2019 წლის 23 მაისის

№4513280 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 23 მაისის №4513280 გადაწყვეტილებით შეთანხმდა ქ. თბილისში, მოსკოვის გამზირი №24ა-ში კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.19.34.002.190), მრავალფუნქციური სავაჭრო, საოფისე, საცხოვრებელი (ბლოკი N2) შენობის არქიტექტურული პროექტი. ხოლო, 2019 წლის 09 დეკემბრის №4783457 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2021 წლის 09 დეკემბრის ჩათვლით.
სამსახურის 2020 წლის 10 იანვრის №4817887 და 2020 წლის 16 იანვრის № 4823816 ბრძანებებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 23 მაისის №4513280 გადაწყვეტილებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდა: საერთო ფართობი: 5738.8კვ.მ, სარდაფის ფართობი: 293.4კვ.მ, საცხოვრებელ ფართობი: 2186.7კვ.მ. ასევე, -3.00; +3.20; +6.40; +9.60 და +28.80 ნიშნულის გეგმები ჩანაცვლდა 2019 წლის 27 დეკემბრის №AR1726778 განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველით წარმოდგენილი ამავე ნიშნულების გეგმებით.
განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2019 წლის 23 მაისის №4513280 გადაწყვეტილების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, კიბის უჯრედის და სადარბაზოს ფართობი 1221.2 კვ.მ-ის ნაცვლად უნდა იყოს 1223,5 კვ.მ. საერთო ფართობი 5738,8 კვ.მ-ის ნაცვლად უნდა იყოს 5741,1კვ.მ.
სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ არქიტექტურულ გეგმა–ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლების ფართობები, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 23 მაისის №4513280 გადაწყვეტილებაში და ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებში დაფიქსირდეს: კიბის უჯრედის და სადარბაზოს ფართობი 1223,5; საერთო ფართობი: 5741,1კვ.მ.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 23 მაისის №4513280 გადაწყვეტილება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 23 მაისის №4513280 გადაწყვეტილებასთან, 2020 წლის 10 იანვრის №4817887 და 2020 წლის 16 იანვრის №4823816 ბრძანებებთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.